ხელშეკრულება №30

ქ. ზესტაფონი 02 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის უფროსის მ/შ გიორგი ორბელაძის (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #11 (შემდგომში-- შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ი/მ ია რობაქიძის (მისამართი: ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ.#7) სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში--ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საქონლის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აპპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრისათვის საკანცელარიო საქონლის შესყიდვა. შესყიდვის დანაყოფის კოდი: CPV 22815000, 22816100, 22852100, 24910000, 30141000, 30192000, 30192130, 30192160, 30192121, 30199000, 39241200, 44424200.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 221 (ორასოცდაერთი) ლარს;
ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

22800000 დანაყოფის კოდით ---------- 122,50ლარი; 30100000 დანაყოფის კოდით ---------- 76,50 ლარი;
24900000 დანაყოფის კოდით --------- 9 ლარი; 39241200 დანაყოფის კოდით --------- 7 ლარი;
44400000 დანაყოფის კოდით --------- 6 ლარი;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს აპპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის უფროსის მ/შ მიერ 2017 წლის 20 ივნისის #195 ბრძანებით შექმნილი კომისია.
4.2 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაძღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ზესტაფონი, ფარნავაზის ქ#2;
5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 12 მაისამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში;

7. პირსაგამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%--ის ოდენობით.
7.2 პირსაგამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მეორე მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებთ შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

შემსყიდველი:

აიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის უფროსის მოადგილე

გიორგი ორბელაძე

სახელმწიფო ბაზინა

ს/კოდი:: 430024555

მის: ქ. ზესტაფონი ფარნავაზის ქ. №2

ტელ:595-03-01-41

მიმწოდებელი:

ი/მ ია როგაქიძე

ს/კ 18001038053

ს.ს.„საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი BAGAGE22

ა/ა № GE89BG0000000150769800

მის: ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ.#7

	CPV	საქონლის დასახელება	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი(ლარი)	ჯამი (ლარი)
1	22815000	რვეული 96 ფ	10	ცალი	2,50	25
2	22816100	ბლოკნოტი 082	4	ცალი	6,50	26
3		ბლოკნოტი	2	ცალი	7	14
4		ბლოკნოტი ზამბარით	10	ცალი	4	40
5	22852100	ფაილი	5	პაჭკა	3,50	17,50
ჯამი						122,50
6	24910000	წებო 36 გრ	6	ცალი	1,50	9
7	30141000	კალკულატორი	2	ცალი	12	24
8	30192000	საკანცელარიო წიგნი 40 ფ	6	ცალი	1	6
9	30192130	ფანქარი კოხინორის	5	ცალი	0,50	2,50
10	30192160	კორექტორი	4	ცალი	1	4
11	30192121	ავტოკალამი პტ-111	30	ცალი	0,70	21
12		ავტოკალამი 02	20	ცალი	0,20	4
13	30199000	ჩასანიშნი ქაღალდები	3	ცალი	5	15
ჯამი						76,50
14	39241200	მაკრატელი	2	ცალი	3.50	7
15	44424200	წებოვანი ლენტი 40 მ	5	ცალი	1.20	6
სულ ჯამი						221